29 მაისს, 14:00 საათზე კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი საგარეჯოს №1 საჯარო სკოლაში გამართავს პროექტის „წიგნის მოვლის კულტურა“ პრეზენტაციას, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო ღონისძიებების ციკლს სკოლის მოსწავლეთათვის.

პროექტს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლები ახორციელებენ. პროგრამის მიზანია, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაცემის საფუძველზე ბავშვებს გამოუმუშავდეთ წიგნის მოვლის უნარ-ჩვევები, აგრეთვე ჩამოუყალიბდეთ და აუმაღლდეთ წიგნთან სწორად მოპყრობის კულტურა. სკოლის მოსწავლეები თავისი ხელით აღადგენენ ქაღალდის სტრუქტურას, ასევე წიგნად აკინძავენ რესტავრირებულ ფურცლებს.

პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები იხილავენ ფილმს, თუ რა ეტაპებია საჭირო იმისათვის, რომ ხელნაწერი დამზადდეს. ტყავის დამუშავება, დაჭრა, მინიატურების კონტურების მომზადება, ტექსტის განაწილება და ა.შ.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

მ.ალექსიძის 1/3

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მარიამ ჯაბიძე

pr@manuscript.ac.ge

598 175 777; 577 977 199

თამარ გურგენიძე

friends@manuscript..ac.ge

599 899 628